

1
1888

მშვენი

1888-1888

«მშვენი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის სახუთშაბათს და ოც-და-ათ რიცხვებში.

ჭუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველომ ველოსაბან.

ჭუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველომ, ყუჩხაურის დადგენილობის ძალით 1 ს. სექტემბრიდან № 23, მუს. III, შიშველ ნოემბრისათვის 1888 წ. თავის კრებაზედ დანიშნა ვაჭრობა ნარდად გაცემასად ქვის ეკლესიის აშენებისა სასწავლებლის უმთავრესი შენობის გვერდით. ამ ვაჭრობას, განიხილავდნენ, უნდა მოეწყეს სამი დღის შემდეგ განმეორებითი ვაჭრობა. ვაჭრობის დროს ნება დართულია მოცილეობა მოვარეთა შორის როგორც სიტყვიერად, აგრეთვე დაბეჭდილი განცხადების საშუალებით. ამ შენობის ასაგებლად დამტკიცებული სმუტისამებრ დანიშნულია საკუთრად მუშაობისათვის და სხვა და სხვა მასალებისათვის 164+3 მ. 81 კ. ამ ფულის ჩეკარაში ნარდად ამღებთ ნება აქვსთ შენობისთვის ისმარონ ძველი ტაძრის და ძველი ტახის ქვები სასწავლებლის შენობის მასალობად, თანახმობით სასწავლებლის სამმართველოს. სიტყვიერ ვაჭრობაში შემოსვლა ვისაც სურს, გადღებულნი არიან ვაჭრობისათვის დანიშნულს დღეს 12 საათამდე შემოიტანონ ამაზედ განცხადება ჭუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოში. ამ შიშთა განცხადებასთან უნდა წარმოადგინონ ორი მოწმობა—გილდისა და თავიანთ წოდებაზედ, და აგრეთვე მისაღებად ნება-დართული გირაოები. გირაონი, სანარდო ფულის ერთ მესამედად დიდებულნი, უნდა შეადგენდნენ ან ნაღდს ფულს, ბანკის ბილეთებს და სხვა კრედიტის ქაღალდებს, ან გირაოს მოწმობებს ქალაქის მამულებზედ.

გირაოს მიმცემთა წმუნების წერილებში უნდა იყოს ნათქვამი, რომ ისინი მიანდობენ წმუნებულ შიშთა გირაოებს წინადათ სამუშაოს ნამდვილად აღსრულებისა და ბეთ დატოვლის ფულებისა, აგრეთვე ყველა სხვა გადასახადთა და ჯარიმთა, რომელნიც შეიძლება დატეხეს ნარდად ამღებს ნარდად აღებულის საქმისა გამო, —თუ ეს ყოველივე არ იქნას მოხსენებული გირაოებს არ მიიღებს.

საზოგადოდ განცხადებებს ვაჭრობაზედ უნდა დაერწმუნოს ჭეიშნოს დერბარის მარკები და დაწერილი უნდა იყოს ფორმისა მებრ, რომელიც თან დართული აქვს მუს. 1909 ტ. X ნაწ. I. განცხადებაში უნდა იყოს ასოებით დაწერილი და თან გამოცხადებული უნდა იყოს სურვილი ნარდად საქმის აღებისა ყველაფერში თანახმად ვაჭრობაზედ წამოადგენ ღის შიშობებისა, შრომებისა და სმუტისა. განცხადებები, რომლებიც ამა მოსოვნისაგანების თანახმად არ იქნება დაწერილი, ჩათვლებიან გაუთვლებად.

ვისაც სურსთ ნახონ შრომები და სმუტა ამ ნარდად ასაღები საქმისა, შეუძლიათ მიიქცენ ჭუთაისის სასულიერო სასწ. ზედამხედველთან ყოველ დღეს დილის 9 საათამდე ნაშუადღევს 2 საათამდის, გარდა გვირაქზედ დღეებისა. ზედამხედველთნ აგრეთვე შეიძლება შეიტყონ უადვილესი საშუალება ადგილზედვე წელის მოხსნისა და შენობისთვის ვარგისი და გამოსადეგი ნახარკები ქვების მოგროვებისა.

მათი იმპერატორებითი უდიდებულესობათა მოგახანება პ. ჭუთაისში.

12 ოქტომბერს, ნაშუადღევს მეოთხე საათზე მოვიდა ჭუთაისში საიმპერატორო მაგონი. რკინის გზის სადგურზე მათ უდიდებულესობათ მიეგებნენ საპატიო ყარაული იმერეთის, ბუჩიის და სამეგრელოს თავადაზნაურთა, თავადაზნაურთა მარშლები, ღვთაუტატები, სოფლის მამასახლისები, ჭუთაისის და შოთის ქალაქის თავები. მფითოეულმა მათგანმა მიართვა მათ უდიდებულესობათ პურ-მარილი ადგილობრივი და მოსკოვის ხელობის ნაცებებ ტაბაკებზე. ჭუთაისის ქალაქის თავი ბ. ასათიანი მიეგება მათ უდიდებულესობათ შემდეგი სიტყვით:

«ყოვლად მოწყალეო ხელმწიფეო!

არ მალე მამს მთლად გამოგსთქვა სრული სიღრმე ერთგულ ქვეშევრდომულ გრძნობათა ქალაქ-ჭუთაისის მკვიდრ.

თა, რომელთა სასულიერო მამაკაცს ბედნიერება ზუგმაღლით მიეცემა თქვენს იმპერატორებითი უდიდებულესობას. თქვენს იმპერატორებითი უდიდებულესობისა და თქვენის სამეფო სახლობის ღირსეულად შესვენდრისათვის ქალაქ ქუთაისს აწა აქვს არც კასპიის ტყელები, არც სიმაღლესი თბილისისა, არც ლაქარდი ბათუმისა, იმას აღვსებს მხოლოდ გომრბა, რომელიც ძველადგანვე თავგანწირული ტახტის ერთგულებით არის ანთებული. იგი არ გაქრება ჩვენში და ჩვენ შთამომავლობაში, ვიდრე სტეპს ერთი მაინც ქართველი გული».

რკინის გზის დარბაზში მათ უდიდებულესობათ მიეცენ ქალაქის დიდ-კაცობის ქალები. გუბერნატორს, თავად-აზნაურთა მარშლის და ქალაქ ფოთის თავის მეუღლებს მიათრევს ხელმწიფე იმპერატორისა ვაჟი-ღვთის თაიგულები. რკინის გზის სადგურადგან მათი უდიდებულესობანი წამოხმანდენ ზირ-და-ზირ საგვრებულ ტაძრში. რკინის გზიდან სობორმოდის ქუჩის ორივე მხრით აუარებული სალხი იდგა და მოისმელა გრგვინვა აღტაცებული ურას ძახილისა. სობორმში შესვლის დროს მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათ უოკლად სამღვდელთა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრეული მიეცება შემდეგი სიტყვით:

«უკეთილ-მსახერესო ხელმწიფე!»

საქართველო არა ერთსელ გაბედნიერებულს თავის შოკის რუსეთის გვირგვინისა მეფეთა ხილვით, მაგრამ შენი ესტანდელი მობრძანება დედოფლით და უკუ-გუსტოესი შვილებითურთ განსაკუთრებით შესანიშნავი და სასიხარულოა, თქვენი მობრძანება გვიმტკიცებს, რომ შენი სახელმწიფოს ამ შოკრულმა გუთხმაც ხანგრძლივი ომების შემდეგ მოიხატა, ბოლოს დროს, ისეთი მეუდროება და კეთილ-დღეობა, რომ შესაძლებელ შეიქმნა ამ ქვეყნის ნახვა დედოფლის და უკუგუსტოესი შვილებისაგან.

და ისარბდეს სული შენი, კეთილ-მსახერესო ხელმწიფე, ამ სალხის ხილვის დროს, რომელიც გულითადი სასიხარულოთ გეგებება შენ, და ამ მხარისა, რომელიც განთავისუფლებული და გაბედნიერებულია შენი თვით-მეუდრობელი წინაპრებისაგან და რომელიც დღესაც მშვიდობიანად შრომობს. ბევრ დროს არ გაუვლია მის აქეთ და ჩვენ მამებსაც კი ახსოვდათ და გვიამბობდნენ ზოლმე ჩვენ, რომ მთელი ეს მხარე არა ერთგზის ყოფილა აოხრებული, დაჩრქული და მოწყვლული თავისი შვილების სასიხარულოთ და დღეს კი ძველად მოსილი რუსის

ჯარისაგან ქრისტეს საწმენოების მკინვარე მტრების ხელთაგან განთავისუფლებული, იგი თითქმის აღდგა მკედრითით და კვლად აღჭურვდა შენი წინაპრებისა და შენი, ხელმწიფე, კეთილ-მმართველობისა ქვეშე. ჩვენ ველოდებით მცნოვნებთა კარგად გეასოვს ეს და უზომოდ მაღლობელი ვართ: ჰიკვლად ღვთისა, რომელმაც განათლა ჩვენი წინაპრნი მართლ-მადიდებელი საწმენოებით, მეორეთ მაღლობელი ვართ ჩვენი წინაპრებისა, რომელთაც მიუხედავად ათასი წლის სასტაგო ომებისა და წვალებისა თავის საწმენოებისათვის, ხელ-უხლებლად და შეუბღვრად გადმოგვცეს ჩვენ მართლ-მადიდებელი საწმენოება და ამით შეგვამდებია სამუდამოდ შევერთოებულაყვით დად რუსეთის მართლ-მადიდებელ სახელმწიფოსთან და მონაწილე გავმდარაყვით მასი სულიერი ცხოვრებისა. ბოლოს უზომოდ მაღლობელი ვართ ჩვენ შენი გვირგვინისა წინაპრებისა და შენიც, დიდო ხელმწიფე, ველოდ იმ ზრუნვისა, შრომისა, აღუწაცხელი ხარჯისა და იმ რუსთაგან დანთხეულ საზღვრისათვის ჩვენ განსათავისუფლებლად მტრთაგან. განსაკუთრებით მაღლობელი ვართ შენი, ხელმწიფე, რომ ჩვენ ერთის თვლით გვიუერებს სხვა მრავალ რიცხვან შენს ქვეშევრდომთა შოკის, გვიანსულე ჩვენ, გავა-ცოცხლე, გავამხნევე და შეგავერთე ჩვენ ველოდნი შენ-დამი მაღლობისა და სიუკრულის ერთის გრძნობითა. რუსეთის მართლ-მადიდებელი სახელმწიფოს დიდი და მსოფლიო დიდება იმაში მდგომარეობს, რომ მასშია ველო ქვეშევრდომნი სალხისაგან და აღსარების გაუჩეკლად სცხოვრებენ ერთი და იგივე მართლ-მსახერესი და ზარეოხილი კანონებისა ქვეშე, აქვთ ერთი და იგივე უფლება, რომელსაც ზოგაერთ სხვა დიდ სახელმწიფოებში, რომელნიც მედიდურბენ თავისი უმაღლესი განთლებით, ქვეშევრდომთა თანასწორობა რჩება სშარად მხოლოდ ქალაქზე, და საწმენოების შეწყნარებაც მხედარად მხოლოდ ღვთის მცნობელთათვის, მართლ-მადიდებელნი სშარად ამას მოვლბულნი არიან. მხოლოდ რუსეთი, რომელსაც მართლის ღმერთი იფარავს და ბრძენი ხელ-მძღვანელნი წინ მიუძღვიან მაღალი მიზნებისადმი, უოკელთის ცდილობს, რომ სახელმწიფო მმართველთაგან განსორცოელის მართალი უფლისა.

აზრმა ღვთისმიერ შენის სამეფოს დანიშნულება-ზე გავამტკიცოს შენ, მართლ-მადიდებელი მეფე, შენს მეფურ შრომასა და მოღვაწეობას შინა. და ინებოს მეფეთა მეფეებს, რათა სტებებოდე შენ მრავალთა წელთა შენის ოჯახის ბედნიერებით ერთგულ ქვეშევრდომთა მშვიდობიანის განთლებითა და აჭყავებითა».

ტადრიდამ მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ წმ. ნინოს სასწავლებელში, სადაც ყველა სასწავლებლების მოსწავლენი იყვნენ შეკრებილნი. მათ უდიდებულესობათა შებრძანებისათავე გიმნაზიელებისაგან შემდგენილმა მუსიკამ დაუკრა რუსული ჰიმნი. შემდეგ სწავლა-განათლების მზრუნველმა წარუდგინა მათ უდიდებულესობათ ყველა სასწავლებელთა მოსწავლენი და მასწავლებელნი. წმ. ნინოს სასწავლო ბლიდამ მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ სასახლეში, რომლის წინ მათმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა დახედა ზერნომორიის პოლკს. აქვე მათ უდიდებულესობათ მიეგებნენ სამოქალაქო მოსამსახურენი და თავდაზნაურობა. გუბერნიის თავდაზნაურობა მარშალი შემდეგი სიტყვით მიეგება მათ უდიდებულესობათ:

«უმოწყალესო ხელმწიფეო!

თავდაზნაურობა ქუთაისის გუბერნიისა, აღესილი განუსაღვრელის მადლობით, რომ თქვენ მას აჩუგუნეთ ბედნიერება გიხილონ თვისს შორის, უსაყვარლესო ხელმწიფეო, უზგუსტოკის სასახლეშითურთ, მოგიძღვნის თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის ფესთა წინაშე თვისს უქვეშევრდომილეს გრძნობათა. დღევანდელი ბრწყინვალე უამი მით უფრო შესანიშნავი და ბრწყინვალეა, რომ ჩვენს ქვეყანას ესტუმრა ხელმწიფე იმპერატრიცა, რომელიც უველგან სთესავს სიხარულსა და ბედნიერებას, ჩვენს ცხოვრებაში დიდებული მოვლენას და ჩვენს გულში აძლიერებს განუქრობელს ტეტსლს წინაპართა ნაანდერძების სიყვარულისასა და ერთგულებისას ტახტისადმი, რომელიც ჩვენი უმთავრესი ნუგეშია».

11 ოქტომბრიდამ თითქმის განუწყვეტლად სწიმდა, მაგრამ მათ უდიდებულესობათა მოაზრებების წინ გამოიძრა. ქალაქი დიდიდგან მშენებლად მოაზრეს ბაიჩასებით, დროებით და კენზილებით. რკინის გზის სადგურიდან სასახლემდის იყო გაკეთებული ორი სატროუმიერო კარები, რომლებზედაც ეწერა რუსული ჰიმნის სამი სიტყვა «დიქტო, დიციკ მეფე». სოფლებიდან დიდძალი სადღის მოაწუდა ქუთაისს. სასტუმროებში ადგილი აღარ იყო. სასტუმროს უბრალო ოთახში 3—5 მანუაზდე იღებდნენ. ღამით მთელ ქალაქი განიარაღებული იყო.

13 ოქტომბერს დილიდგანვე მთელი ქუჩა სასახლეში დაწყებული სამხედრო საავად-მყოფომდის საესე იყო ხალხით. სასახლის მახლობლად ჩამწყრივებული იყვნენ ქუთაისის ყველა სასწავლებლების მოსწავლენი ორივე სქესისა გარდა წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის მოსწავლე ქალებისა. სწორეთ პირელი საათის ნახევარი იქნებოდა, როცა მათი უდიდებულესობანი გამობრძანდნენ სასახლიდამ, ჩაბრძანდნენ ეტლში და გაემგზავრნენ გომპიტალში. მათ უდიდებულესობათ დანახვზე ხალხში მოისმა აღტაცებული «ურას» ძახილი. მათი უდიდებულესობათა დახედეს სამხედრო საავად-მყოფო და პოლკის ეკლესია. შემდეგ ამისა მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ რკინის გზის სადგურზე და იქიდან გაემგზავრნენ გელათში.

სწორეთ ნაშუადღევს ორი საათი იქნებოდა, როცა გელათის რკინის გზის სადგურს მოადგა საიმპერატორო ვაგონი და მოაბრძანა მათი უდიდებულესობანი. მათ უდიდებულესობათა დანახვზე მოისმა აღტაცებული «ურას» ძახილი ხალხში, რომელიც დილიდგანვე შეკრებილი იყო რკინის გზის სადგურთან. რკინის გზის სადგურიდამ მათი უდიდებულესობანი ეტლებით გაემგზავრნენ მონასრისაკენ მშენიერი გზატკეცილით, რომელიც მათი უდიდებულესობათა მობრძანებისათვის გააკეთეს ამ ცოტა ხანში რკინის გზის სადგურიდამ თვით მონასტრის შესავალ კარებამდის. 15 წამის შემდეგ მათი უდიდებულესობანი მობრძანდნენ მონასტერში. მონასტრის ეზოში შესავალ კარებიდან დაწყებული თვით ტაძრის კარებამდის ორივე მხრით ჩამწყრივებული იყვნენ სოფლის საერო სკოლების მოსწავლე ვაჟები და ქალები. მონასტრის ეზოში შესავალი კარებიდამ დაწყებული ტაძრის კარებამდის მთელი გზა მოსწავლე ყმაწვილებს ყვავილებით მოფენიანთ. მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა გააბედნიერეს მოსწავლენი თავიანთი უმოწყალესი ყურადღებით.

მკლესიის კარებთან მათ უდიდებულესობათ მიეგება ყოვლად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსი მამრიელი მოკლე სიტყვით, რომელსაც შემდეგ ნომერში დავბეჭდათ. *)

*) გადღმა მეოთხე გვერდზე შეცდომით დაბეჭდილია მეექვსე გვერდი და მეექვსეზე—მეოთხე. ეს გვერდები ერთი მეორის ადგილზე უნდა იქნეს წაბეჭდილი.

მცირე ლიტის შესრულების შემდეგ მონასტრის წინამძღვარმა არქ. სერაფიონმა მათ უდიდებულესობათ მიართვა მაცხოვრის ხატი. მათ უდიდებულესობათ ინებეს მონასტრის ძველი შესანიშნავი ნაშთების დათვალიერება; დაათვალიერეს: ძველი სახარებათი X-XI საუკუნოებისა, ძვირფასი შესამოსელნი და მიტრა კათალიკოსებისა, მეფის გვირგვინი, ოქროს ბარძიბუფეზუმები და სხვ. მათი უდიდებულესობანი დიდის ყურადღებით ათვალიერებდნენ ყველა ამ ძველ შესანიშნავ ნაშთთა. ძანკელის ყველა ხატებში მათ უდიდებულესობათ განსაკუთრებით ყურადღება მიიქცია ხახულისა ღვთის-მშობლის ძვირფასა ხატმა; იმპერატორი და იმპერატრიცა დიდხანს ათვალიერებდნენ ამ დიდს ძვირფას ხატს. მათ უდიდებულესობათ არასფერი არ დაუტოვებიათ ტახტში დაუთვალიერებელი, რაც კი შესანიშნავი იყო თავის სიძველით. განსაკუთრებული ყურადღებით დაათვალიერეს მათ უდიდებულესობათ მოზაიკური მხატვრობა ღვთის-მშობლისა და მთავარ-ანგელოზთა საკუთხეველის თაღზე. მათი უდიდებულესობანი აბრძანდნენ წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, რომელიც მეორე სართულშია. ამ ეკლესიიდან ჩამობრძანების შემდეგ დაათვალიერეს მთელი არე-მარე გელათის მონასტრისა და შენობები და ნივთები, რაც კი მათში შესანიშნავი და საყურადღებოა არიან. როცა მათ უდიდებულესობათ გაათავეს მონასტრის და მისი ძვირფასი ნაშთების დათვალიერება, დეკანოზმა ღვით ღამბაშიძემ მიართვა მათ უდიდებულესობათ ისტორიული აღწერილობა გაენათის და მოწამეთის მონასტრისა და ცხოვრების აღწერილობა მეფის ღვით ღამბაშენგელისა სურათებით მშვენიერს ხაერდს ყდებში გაკეთებული. მისმა იმპერატორებითა უდიდებულესობამ კეთილ ინება კითხვა, თუ რა წყაროებისაგან შეადგინა დეკანოზმა ღამბაშიძემ ეს აღწერილობა და, როდესაც ღამბაშიძემ მოახსენა მათ უდიდებულესობათ ის წყაროები, რომლებითაც ინგლისეზმანელა მან ამ აღწერილობათა შედგენის დროს, მათ იმპერატორებითა უდიდებულესობათა კეთილ ინებეს ამ აღწერილობათა მიღება და გააბედნიერეს დეკანოზი ღამბაშიძე მადლობის გამოცხადებით.

შემდეგ მათ უდიდებულესობათ ხონის საქალგობ სკოლის, კუხის და სხვა სოფლის სკოლების მოსწავლეებმა მიართვეს თავიანთი ნაწარმოები. ძაღებმა აბრეშუმის პარკების თაიგული და აბრეშუმის შარფი, კუხის სკოლის მოსწავლეებმა ფიჭა, შუშაში გაკეთებული. აქვე ერთმა გლეხმა მიართვა ორი ხატი, თავისი ხელით დახატული. ყველა ეს ნივთები უმოწყალებად მიიღეს და როდესაც მათმა იმპერატორებითა უდიდებულესობამ, სელმწიფა იმპერატრიცამ მოსწავლე ქალს, პარკების თაიგულის მიმართმეს, მადლობა გამოუცხადა ქართულს ენაზე, მაგირდების სიხარულის სახლგარი არა ჰქონდა. მასაოცარი იყო იმპერატრიცას აღერსიანი და დედა-შვილური მოქცევა მოსწავლეებთან.

ძვირფასმა სტუმრებმა გააბედნიერეს ყოვლად სამღვდლო და მონასტრის წინამძღვარი და მიიღეს ჩაე და ხილელობა, სელმწიფე იმპერატრიცამ გვერდით დაიჯინა ყოვლად სამღვდლო. როცა შამბანის ღვინო მოართვეს, იმპერატრიცამ ინება ყოვ. სამღვდლოს საღვდოეძლოს შიღება. არქ. სერაფიონმა იმპერატრიცას მიართვა გიშრის კრიალოსანი. ძვირფასი სტუმრები კარგა ხანს სიამოვნებდნენ ყოვლად სამღვდლოს საზაფხულო სახლის ბალკონიდგან მათ თვალიწინ გაშლილ არე-მარეთი. როცა იმპერატრიცა ბალკონიდგან არე-მარეს ათვალიერებდა, მის მახლობლად მდგომს დეკანოზს ღამბაშიძეს ჰკითხა, თუ საიდგან არის ის და სად მსახურებს, და როცა დეკანოზმა ღამბაშიძემ მოახსენა მათ, რომ იგი არის ყვირილიდგან და მოვიდა, რათა ბედნიერ გამხდარიყო მათი უდიდებულესობათა ხილვით და მიერთმია მათ უდიდებულესობათათვის მონასტრების აღწერილობა, იმპერატრიცამ კიდევ გააბედნიერა მ. ღამბაშიძე მადლობის გამოცხადებით. ბოლოს ძვირფასმა სტუმრებმა მადლობა გამოუცხადეს ყოვლად სამღვდლოს და არქიმანდრიტს და გაემგზავრნენ მოწამეთის მონასტრის დასახედავად.

მიხედება ხელმოწერა იმპერატორისა და მისი
უამრუსტოების სახლობისა ქ. თბილისში.

(«ივერია»).

მოთმბათს, 28-ს სექტემბერს, თავად-აზნაურო-
ბას ელირსა ბედნიერება და წარსდგა სასახლეში მათთა
უდიდებულესობათა წინაშე. ზუბერნიის თავად-აზნაურო-
თა წინამძღოლმა მოახსენა შემდეგი სიტყვა:

«ყოვლად მოწყალო ხელმწიფე!»

ძეულად-ძველს დედა-ქალაქს ივერიისას მე მე-
ლირსა ბედნიერება თქვენს იმპერატორების დიდებუ-
ლებსა ფებთა წინაშე დაუგო ერთგულ-ქვეშევრდომუ-
ლი სიყვარული უსაზღვროდ თქვენდამი თავ-დადებუ-
ლისა და ერთგულის საქართველოს თავად-აზნაურო-
ბისა.

დიდებულა ხელმწიფე! მეფეთა ერთგულე-
ბა ანდერძია მემკვიდრეობით გადმოცემული ჩვენთა
მამა-პაპათაგან, რომელთა არა ერთხელ უჩვენებიათ
მაგალითი თავ-განწირულის ერთგულებისა თქვენის
იმპერატორების უდიდებულესობის ტახტისადმი.

«სარწმუნოებისა და მეფისათვისა» — ზედ სწე-
რება დროშას საქართველოს თავად-აზნაურობისას
მის ისტორიულ ცხოვრების მრავალ საუკუნოების
განმავლობაში. «სარწმუნოებისა და მეფისათვის» იგი
დღესაც მზად არის ერთის თქვენის ბრძანებით თავი
აწირავს სასახლეოდ და სასიკედილოდ.

მობრძანება ჩვენს ქვეყანაში თქვენის იმპერატო-
რების უდიდებულესობისა — ეგ ბედნიერება, რომე-
ლიც დღეს ჩვენ წილად გვბა — გვანახლებს ჩვენ
სულით და ჰმოსავს ახალის ძალით უწმიდადეს კა-
შირს თქვენის იმპერატორების უდიდებულესობის
ტახტისასა და ჩვენის გულისას.

მობრძანებამ-ლა თქვენმან, ყოვლად მოწყალო
ხელმწიფე, მოგვანიჭა რა აქამომდე არ-ცნობილი
ჩვენ მიერ სიხარული დედა-მეფის პირველ ხილვისა,
აღაესო გულნი ჩვენნი უღრმესის მადლობითა იმ
შეწუხებისათვის, რომელიც თქვენ იტვირთეთ ესო-
დენ შორეულ ქვეყანაში მოსაბრძანებლად.

მადლიერ ერის გონებისაგან არასოდეს არ აღ-
მოიხრცება ბრწყინვალე ხსენება თქვენის აქ მობრძა-
ნებისა და ჩვენ შორის ყოფნისა.

ამ სადღესასწაულო დიდებულს დღეს ყოველი
თქვენის იმპერატორების უდიდებულესობის ერთგულ-
ქვეშევრდომი ქართველი, თქვენ მიერ გაბედნიერებუ-
ლის კაცისის დანარჩენ სხვათა მკვიდრთა თანა, სრუ-
ლის გულით გლოცავთ და გაკურთხებთ თქვენ.

მეითოველი მათგანი, ჰხედავს რა თვის გვირ-
გენოსანს ბრძანებელს, თავ-მოწონებულია და ამაყი
მით, რომ შენ ხარ ხელმწიფე ჩვენი, შენთა ხელთ
არის ჩვენი ძლიერება და ჩვენი ხსნა!

ამაზე ხელმწიფე-იმპერატორმა ბძანა: «მადლო-
ბელი ვარ, ბატონებო, გულითადის დახვედრისათვის.
მე დიდად მოხარული ვარ, რომ დრო მომეცა მოე-
სულიყავ თქვენს ქვეყანაში იმპერატრიცით-თურთ.
საქართველოს თავად-აზნაურობა ყოველთვის გამო-
ჩენილი იყო ერთგულებითა და თავისის სისხლით
აღბეჭდა თავისი ერთგულობა».

ხუთმბათს, 29 სექტემბერს, დილით ხელმწიფე
იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა და ჟუგუესტოკს-
ნი ძენი მათნი ამალით წაბრძანდნენ დიდუბეს, საცა
თბილისში მყოფი ჯარი უნდა ყოფილიყო უმაღლე-
სად გასინჯულ. აქ ყვავილებითა და მწვანით მორთული
პავილიონი იყო გაკეთებული. ხელმწიფე იმპერატო-
რმა და ხელმწიფე იმპერატრიცა მობრძანდნენ ეტლით,
ჯარის მახლობლად ხელმწიფე იმპერატორს მოართვეს
ცხენი. მისი უდიდებულესობა, აგრეთვე მექვიდრე
ტყაჩევი და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს
ძე ცხენებზედ შებრძანდნენ და მივიდნენ ჯართან.
ხელმწიფე იმპერატრიცა ეტლით გვერდით მისდევდა
მის უდიდებულესობას. მცირე ხანს შემდეგ ხელმწიფე
იმპერატრიცა მობრძანდა პავილიონთან, გადმობრძან-
და ეტლიდამ და შევიდა პავილიონში. აქ შესავალში
იდგნენ ორი თავადი-შვილი საპატია ყარაულისანი.
როგორც შიგნით პავილიონში, ისეც გარედ ირგე-
ლიე იყვნენ მორიგებულნი თავად-აზნაურთა საპატია
ყარაულის წვერნი.

ხელმწიფე იმპერატრიცას მიეგება პავილიონში
კორაუზის კომანდირის მეუღლე კნ. მ. დ. შავჭავა-
ძისა და მხედრობის სახელით მთავრთა ყვავილების
კონა. ხელმწიფე იმპერატრიცამ მოწყალება მოიღო და
კარგა ხანს ესაუბრა კნინა შავჭავაძისას. ჯარებმა
ჩაიარეს საცერემონიო მარშით მათთა უდიდებულესო-
ბათა წინაშე და ელირსნენ უმაღლესს მადლობას.
ხელმწიფე იმპერატორმაც ჯარების ნახვის შემდეგ კე-
თილ იწება მიბრძანება პავილიონში.

ჯარის დათვალიერების შემდეგ მათი უდიდეს-
უესობანი, ეტლით მუშტაიდის და მიხეილის ქუჩით
წაბრძანდნენ 1-ლ კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც
თავ-მოყრილი იყვნენ მე-2 კლასიკურისა და რეალუ-
რის გიმნაზიის მოსწავლენი. გიმნაზიის დარბაზი მშვე-
ნიერად იყო მოართული. მათ უდიდესუესობათ შებ-
ძანებისა თანავე დარბაზში გიმნაზიის მოსწავლეთაგან
შედგენილმა მუსიკამ დაუკრა რუსული საერო ჰ.მნი.
ამას შემდეგ მოსწავლემ მრისთავა წაიკითხა თავის
მიერ შეთხზული ლექსი მათ უდიდესუესობათა მობრ-
ძანების შესახებ. მერე პაწია მოსწავლეს გიმნაზიისას
მკოზინინს ბედნიერება ჰქონდა მიერთმია სქდმწიფე
იმპეტრადისათვის ყვავილების კონა. კონის მირთმე-
ვის დროს მკოზინინმა მტკიცედ და გარკვეულის
ხმითა სთქვა: «მოიღეთ მოწყალება, თქვენა იმპეტრ-
ატრებითა უდიდესუესობაჲ, და მიიღეთ ეს კონა
ჩვენის გიმნაზიისაგან». ამის მერე გიმნაზიისავე მო-
წაფემ ზლობემ წაიკითხა თავისი საკუთარი ლექსი.
შემდეგ, მისის იმპეტრატრებითის უდიდესუესობის
ბრძანებით, მუსიკამ მარში დაუკრა. საზოგადო დარ-
ბაზიდან მათი უდიდესუესობანი შებრძანდნენ სამ-
ხატერო დარბაზში და დათვალიერეს მოსწავლეთა
ნამუშევარი. იქვე მიართეს მეგვიადრე ტესარკეიხისა და
დიდს მთავარს გიორგი ალექსანდრეს ძეს ძვეკასიის ზო-
გიერთ აღგილების ფოტოგრაფიულ სურათების თითო
ალბომი, ნამოქმედარი ფიზიკის მასწავლებელ ბ-ნის
ძაზიულკინის მიერ. შემდეგ გიმნაზიის ეზოში მოს-
წავლეთ რიგზედ აიარ-ჩამოიარეს მათ უდიდესუესო-
ბათა წინაშე და ღირსეულ შეიქმნენ მოესმანათ იმპე-
ტრატრის მიერ მადლობა.

გიმნაზიიდან მათი უდიდესუესობანი ჩაბრძან-
დნენ ეტლში და თავისის უავუსტაკისის სსხლობით-
თურთ თორმეტის ნახევარზედ ინებეს მისვლა ამიერ-
კავკასიის დედათა ინსტიტუტში; ინსტიტუტის დარ-
ბაზში მათ უდიდესუესობათ დახდნენ მოსწავლე
ქალნი. ჰიმნის შემდეგ მოსწავლეთროილზე იგალო-
ბეს ლერმონტოვის ლექსი, მერე ოთხმა მოსწავლემ
ოთხს როილზედ დაუკრა ჩერნის კვარტეტი და ბო-
ლოს ერთმა მოსწავლემ წაიკითხა კრილოვის «გუ-
გული და მამალი». ამის შემდეგ მათათ უდიდესუეს-
ობათა ინახულებს ინსტიტუტის ეკლესია და სამკურ-
ნალო. მოსწავლეთ ბედნიერება ჰქონდათ მიერთმიათ
სქდმწიფე იმპეტრადისათვის ყვავილების კონა
და ორი მოქარგული ბალიში. აქედგან მათი უდი-
დესუესობანი წაბრძანდნენ სასახლეში, სადაც 12

საათზედ საუბრე იქმნა გამართული უწარჩინებულეს
სამხედრო კაცთა თანადარბრებით.

სამის ნახევარზე დედათა ინსტიტუტის ახალ
შენობის საძირკველის ჩაყრას დაესწრნენ მათი უდი-
დესუესობანი. პირველადვე საქართველოს ექსარხო-
სის პალოლადის მიერ უშაღლეს სასულიერო კაცთა
თანადარბრებით გადახდილ იქმნა პარაკლისი. პარაკ-
ლისის შემდეგ პირველი ქვა საძირკველისა დასდო
სქდმწიფე იმპეტრატრმა, მეორე — იმპეტრადი, მე-
სამე მეგვიადრე ტესარკეიხმა, მეოთხე — დიდმა მთავარმა
გიორგი ალექსანდრეს ძემ, მეხუთე სამხედრო მინისტრმა
მანოესკიმ, მეექვსე მთავარ-მართებელმა ღონდუკო-
პორსაკოვმა და მეშვიდე სტატუს-სეკრეტარმა ღურნო-
ვომ. ამის შემდეგ მათი უდიდესუესობანი წაბრძან-
დნენ წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელში.

29 სექტემბერს, მათი უდიდესუესობანი, რაკი
მორჩნენ დედათა ინსტიტუტის ახალ-შენობის საძირ-
კველის ჩაყრას, მობრძანდნენ ფეხით წმ. ნინოს სა-
ქალებო სასწავლებელში. სასწავლებლის შესახვევში
მათ უდიდესუესობათ მიეცება სასწავლებლის
უფროსი, მოსწავლე ქალმა ამილახვარისამ მათ
უდიდესუესობათ მიართვა ყვავილების კონა.
უავუსტაკისმა სტუმრებმა ინახულებს მოსწავლე ქალები,
დათვალიერეს ბიბლიოთეკა, სასადილო ოთახი,
საქტო დარბაზი, ეკლესია და სამკურნალო. მოს-
წავლეთ ჰქონდათ ბედნიერება მიერთმიათ მათ უდი-
დესუესობათათვის დიენის ოთხი ბალიში მშვენიერ-
ის ხელოვნებით ნაკეთები; მეგვიადრე ტესარკეიხისა და
დიდს მთავარს გიორგი ალექსანდრეს ძეს — ხვერდის
ქოშები, აბრეშუმით მოქარგული. აქედგან უავუს-
ტოესი სტუმრები ფეხითვე წამობრძანდნენ იმპეტრ-
ატრის ალექსანდრე მეორის სახელობაზე გამართულს
თავ-შესაფარში და ყმაწვილებმა «ურას» ძახლით
გაცილეს. მათ უდიდესუესობათ ორმა ყმაწვილმა
მიართვა ყვავილების კონა.

როცა თავ-შესაფარი მოიარეს, მათ უდიდესუეს-
ობათ მიართეს საჩუქრად მოსწავლეებმა ნამუშევარი.
სქდმწიფე იმპეტრატრს მიართეს სასწრაფო, იმპეტრ-
ადი — აბრეშუმის ნაქაოვა, პირსახოცი, მეგვიადრე
ტესარკეიხს — სასწრაფოვე და დიდს მთავარს გიორგი
ალექსანდრეს ძეს — მოქსოვილი პირსახოცი. თავ-შესა-
ფარიდან მათი უდიდესუესობანი ფეხით წაბრძან-
დნენ წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის კარებამდე,
სადაც ეტლები იყო მომზადებული. შემდეგ მათი
უდიდესუესობანი და უმადესობანი, საერთო «ურა»-ს
ძახლით გაცილებულნი წაბრძანდნენ სასახლეში.

30 სექტემბერს, მათ უდიდესუესობათ ინახუ-
ლებს სხვა-დასხვა დაწესებულებანი. ამ დღეს მშვე-
ნიერს სურათს წარმოადგენდა მთელი ჩუღურეთი.

ჩიყე, არსენალის აღმართი, ავლაბარი და ნავთლული, ჩადგან მათნი უდიდებულესობანი სამხედრო სამკურნალოში უნდა წაბრძანებულყვნენ. დილიდგანვე დაწყებული ზემოხსენებული ქუჩები სავსე იყო ხალხით, რომელიც სადღესასწაულოდ იყო მორთული. დილის 11 საათზედ მათნი უდიდებულესობანი გამოჩნდნენ არსენალის აღმართთან და გაისმა ერთობილი «ურა!»-ს ძახილი. აქ მოგროვილ მაღაყნებმა და ღუხობორებმა დაიწყეს გალობა. მოახლოვდა თუ არა ამადგილს მათ უდიდებულესობათა ეტლი, ოთხი ქალი წადგა წინ და საჩუქრები გაუწოდეს. მისმა უდიდებულესობამ მამინე უბრძანა მეეტლეს ეტლი შეეყენებინა, გადმოვიდა და ყოვლად მოწყალედ მიიღო მაღაყნებისაგან ორი ბალიში, რომელზედაც ამოქსოვილი იყო მათ უდიდებულესობათა ვენზილები. იქვე ეწერა რუსის საერო ჰიმნის პირველი სამი სიტყვა. აქვე ქალმა ნოვიკოვისამ მიართვა დიდებულ სტუმართ ნაქსოვი პირსახოცი. საჩუქრების მიღებისა თანავე მათ უდიდებულესობათ რამდენიმე მოწყალე სიტყვა ბრძანეს და მე-7 ნაწილის პოლიციის ბოქაულს ნაცვლიშვილს უბძანეს, რომ ეს საჩუქრები სასახლეში მიეტანა. ამის შემდეგ მათ უდიდებულესობათ განაგრძეს გზა და ინახულეს რა სამხედრო სამკურნალო, ფელშერთა სკოლა, დანი მოწყალეებისანი და ნადევას სახელობაზე დაარსებული თავ-შესაფარი, შუა-დღისას დაბრუნდნენ სასახლეში. როცა მათნი უდიდებულესობანი ამ თავ-შესაფარში მიბძანდებოდნენ, გზაზედ გამწკრივებული იყვნენ ობილისის საქველ-მოქმედო სასწავლებელთა მოსწავლენი და მოსწავლე ქალნი ხუთასამდე. მათ უდიდებულესობათ კეთილ ინებეს და მიიღეს ოფილისის საქველ-მოქმედო საზოგადოების მზრუნველისაგან პურ-მარილი ხის ტაბაჭედ, რომელიც მოსწავლეთა მიერ იყო ნამოქმედარი. იმავე დღეს მათთა უდიდებულესობათა ინახულეს კავკასიის მუზეი, სამხედრო-საისტორიო მუზეი და კადეტების კორპუსი.

ძვეკასიის მუზეისა, სამხედრო-საისტორიო მუზეისა, საქალებო გიმნაზიისა და კადეტების კორპუსის დათვალიერების გარდა მათნი უდიდებულესობანი 30 სექტემბერს, პარასკევს, საღამოს 9¹/₂ საათზედ, ბრძანდებოდნენ სახალხო სერნობაზედ, რომელიც გაჰმართა ქალაქმა მუშტაიდის ბაღში. მიხეილის ქუჩა მშვენიერად იყო მორთული. მუშტაიდის კარებთან სატრიუმფო კარი იყო გაკეთებული, რომელზედაც ეწერა: «კეთილი იყოს თქვენი მობრძანება». მთელი ბაღი მუშტაიდისა ათას ფრად იყო განათებული. მათ უდიდებულესობათა პავილიონში და პავილიონს გარედაც ელექტრონი ენთო და კარგა ძლიერ ანათებდა. საგანგებოდ სასიამოვნოდ იყო ამ სინათლით განათებული

სამეფო პავილიონს ახლო გამართული შადრევნები. ბაღში თავი მოეყარა ათას გვარად ჩაცმულს ხალხს, რომელნიც რიცხვით, სულ ცოტა, 7000-მდე იქმნებოდნენ.

მობრძანდნენ თუ არა მათნი უდიდებულესობანი, ამოდენა ხალხში გაისმა ერთობილი ურას ძახილი. მათნი იმპერატორებიანი უდიდებულესობანი შემოსვლისათანავე სამეფო ლოჯაში დაბრძანდნენ. ამ ლოჯას წინ სათამაშო და საცეკვაო მოედანი იყო გამართული, ხოლო მოედანს იქით ხალხი იყო თავმოყრილი. სამეფო ლოჯის ორივე მხრივ შადრევანებია გაკეთებული, შადრევანია გამართული აგრეთვე ბუფეტს ახლო და პავილიონის კარებთან. პავილიონის შენობა მშვენიერად იყო მორთული ორნოებითა და აბრეშუმეულობით. ძეგლებზე ძველებური იარაღი და ირმის რქები იყო ჩამოკიდებული, იატაკი ხალიჩებით მოფენილი.

შაბათს, პირველ ოქტომბერს, დილის 6 საათიდანვე სასახლესთან ხალხმა თავის მოყრა დაიწყო. სასახლის ახლო და ქუჩაზედ მწყრივად იდგა საპატიო ყარაული, ამქარი და გენერალიტეტი. მეცხრე საათზე გამობრძანდნენ სელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა, მეგკიდრე ტესარევინი და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე. მათ უდიდებულესობათ ყოვლად მოწყალედ ხელი ჩამოართვეს გენერლებს, რომელთანაც იყო აგრეთვე კორპუსის კომანდირი გენერალ-ლეიტენანტი თავადი ჭეჭავაძე. შემდეგ მათ უდიდებულესობათ მოართვეს ეტლები და წაბრძანდნენ. მათ უდიდებულესობათ გაიარეს ავლაბარზე და კახეთის გზით გაუდგნენ წინანდალის გზას. გზაზედ დიდძალს ხალხს მოეყარა თავი მათ უდიდებულესობათა სანახავად; ბანები, მოაჯირები სავსე იყო ხალხით, პაწიებიდგან დაწყებული მოხუცებულებამდე, რომელნიც დიდის დანანებით აცილებდნენ მათ უდიდებულესობათა.

მათ უდიდებულესობათა თელავში გაიარეს საღამოს ხუთს საათსა და ნახევარზე. ქალაქის შესავალში მშვენიერად და მრავალფერად მორთული კარები იყო გაკეთებული. თელავის მკვიდრნი, ამქრები და ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი მიეგებნენ მათ უდიდებულესობათ თელავის ღვთაების ეკლესიის დასწვრივ—რუსი შეილების ფერდობზე, რომელიც კეკელუცად იყო მორთული. შრიცხვს ხალხის სიხარულსა და «ურა»-ს ძახილს საზღვარი არა ჰქონდა. თელავი მშვენიერად იყო გაჩაღებული.

პირველს ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, წინანდალში ჩაბრძანდნენ მათნი უდიდებულესობანი სელმწიფე იმპერატორი, სელმწიფე იმპერატრიცა, მეგკიდრე ტესარევინი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე. პეეღან გზაზე მათ უდიდებულესობათა ჰენდებოდა ურიცხვი ხალხი, სიხარულით გატაცებული, რომელიც «ურა»-ს ძახილით ეგებებოდა უაგუსტოესს სტუმარებს.

მოს ოქტომბერს მათი უდიდებულესობანი, ათს საათსა და ნახევარზე მიბძანდნენ წინანდლის ეკლესიაში, საცა აუარებელი ხალხი იყო შეკრებილი; წირვის შემდეგ თორმეტს საათსა და ნახევარზე დაბრუნდნენ სასახლეში, საცა სადილი იყო გამართული, რომელზედაც მიწვეული იყო რამდენიმე საპატიო კაცი სამხედრო და სამოქალაქო უწყებისა.

4 ოქტომბერს, დილის 10 საათზე მათი უდიდებულესობანი უაფეგუსტოვის სახლობით და ბრწყინვალე ამალით მიბძანდნენ წმიდა ნინოს ეკლესიის სანახავად. ეკლესიის წინ, მოედანზე იდგა საპატიო ყარაული სერძლის მაზრის თავად-აზნაურთაგან. მათი უდიდებულესობანი გადმობრძანდნენ ეტლებიდან და გააბეღნიერეს საპატიო ყარაული უმოწყაღესი მადლობით. ტაძრის კარებში მათ უდიდებულესობათ მიეგება საქართველო იმერეთის სინოდალის კანტორის წევრი, წინამძღვარი ქებათა ხევის მონასტრისა არქიმანდრიტი ნიკოლოზი, გამგე ამავე ტაძრისა მღვდელმონაზონი ნიკოლოზი და სხვა სამღვდელონი. შემდეგ მცირე ლიტისა, არქ. ნიკოლოზი მიუძღვა მათ უდიდებულესობათ წმ. ნინოს საფლავზე და მოახსენა მოკლე ისტორიული მოთხრობა წმ. ნინოზე. მათი უდიდებულესობანი მუხლ-მოდრეკით ემოხვიენენ წმ. ნინოს სასაფლაოზე მარმარილოსაგან გაკეთებულ კუბოს. მათ უდიდებულესობათ დაათვალიერეს დაწვდილებით ტაძარი და ყველა ის შესანიშნავი ძეგლი ნაშთნი, რომელნიც დღეს ტაძარში ინახებიან. მათ უდიდებულესობათ სასიამოვნოდ არ დარჩათ, რომ ეკლესიის ალი-ბასტრისაგან ძველად გაკეთებული კანკელის ძირა იარუსზე ძველად დახატული ხატები დაუფარავთ ახალი ხელოვნების ხატებით. არ მოეწონათ აგრეთვე ისიც, რომ ერთ ადგილს ძველი მხატვრობა ნახეს შელესილი, რომელიც ძველ დროშივე მომხდარა. აქვე, ტაძრის ერთ სვეტზე მათ უდიდებულესობათ ნახეს სურათი იმპერატორის ალექსანდრე პირველისა. მათ უდიდებულესობათ კითხვაზე სიღნაღის მაზრის უფროსმა მოახსენა: «ეს სურათი დაუხატავთ ჩვენ წინა-პარსა მოსაგონებლად მისა, რომ ალექსანდრე პირველმა დაუბრუნა საქართველოს ნინას ჯვარი».

არქ. ნიკოლოზმა დაწვდილებით მოუთხრა მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათა ყოველივე, რაც კი ყურადღების ღირსი იყო. მათ უდიდებულესობათ დაჰყვეს ეკლესიაში თითქმის ერთი საათი. შემდეგ მ. არქ. ღირსი გახდა მათ უდიდებულესობათ ხელის მიცემისა და გაემგზავრნენ ეტლებით ს. პარდანახში, სადაც უნდა ენებებიათ დახედვა ქართული მარნისა და ჩვენებურად ყურძნის დაწურვის წარმოება.

შეიღს ამ თვისას მთილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა მათ უდიდებულესობათ საბადუროში მიეგება და გაუმართა საუზმე. ამის თაობაზე გაზეთ «Новое Обозрение»-ში შემდეგს ვკითხულობთ: «სამეფო პავლიონი გამართული იყო საბადუროს აღმართის თავში, სადაც იწყება ერწოს ხეობა. საბედნიეროდ, ეს ადგილი საუკეთესო ადგილად შესაძლოა

ჩაითვალოს ძაგასიაში. თავლ-წინ გადაშლილი იყო ფართო მინდორი, ტყიან მთებით გარშემოვლებული, უზარ-მაზარი კავკასიონის მთები და დიდებული მახზები.

საჩქაროდ აშენებული პავლიონი მორთული იყო სხვა-და-სხვა ფურცლოვანობით, დროშებით, გენზილებითა და ყვავილების ხეულებით. ამ ფურცლოვანობაში მოსჩანდა ვაჟის ხეები ყურძნის მტევნებით და ხეხილის ტოტები, რაცა ძდივედა პავლიონის ნამდვილს ქართულს ხასიათს. მეიდანზე პავლიონის უმთავრესის ფასადის წინ, მარჯვნივ და მარცხნივ, აგებულია ქართული ფანჯატურები, სიგრძით ფეხის ას-ასის ნახევრისა. წინა საღამოს წვიმა მოვიდა და ამიტომ თავად აზნაურობა ძალიან შეწუხებული იყო, მაგრამ, საბედნიეროდ, დილას დარი დადგა. რათა სამეფო სტოლის მახლობლად ყოფილიყვნენ, თავად-აზნაურობის სტოლები გაშალეს თვით პავლიონის წინ.

სრული თერთმეტი საათი იყო, როცა უაფეგუსტოვის სტუმარნი მობრძანდნენ და გაჩერდნენ პავლიონის შესავალთან; ასტყდა «ურას» ძახილი და მათ უდიდებულესობათ მიეგებნენ მთილისის გუბერნიის მარშალი თ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, მაზრის მარშლები, დიდ-ძალი თავად-აზნაურობა, ქალი და კაცი. აწენა მ. ნ. ბაგრატიონ-მუხრანსკისამ, რძალმა გუბერნიის მარშლისამ, მისს უდიდებულესობას-ხელმწიფე იმპერატორსა მიართვა ცოცხალის ყვავილების კონა.

მეფის სუფრაზე ორმოცის კაცის დასასხდომი იყო. სია სანოვანეთა:

- 1) ჩიხირთმა ქათმისა.
- წვენი კუპატებით.
- 2) კალმანი, ზუთხი ქართულად.
- 3) ბეჭი ქართულად, საწებელი.
- 4) ფლავი ხოხბით, შვინდით.
- 5) თურაჯი, მწვადები, ქართული წნილები.
- 6) ლობიო ქართულად.
- 7) მასედუანი საზამთროში, ხილეულობა, ჩაი, ყავა.

შუა სადილზე გუბერნიის მარშალმა მიირთვა ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო; გაისმა ძლიერი და ხანგრძლივი «ურა!» და ქართულად «ღმერთო, ჰფარვიდ მეფესა». თავად ნიკო ზულობათის ძემ ჰაეკავადემ «ჩვენებურად ძველებურად», უსვენებლივ დასცალა ვებერთელა ყანწი. ამას შემდეგ გუბერნიის მარშალმა მიირთვა ხელმწიფე იმპერატორსა სადღეგრძელო, რომელსაც ურას ძახილითა და გამოუთქმელის აღტაცებით მიეგება საზოგადოება. შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა ინება და მიირთვა სადღეგრძელო «ქართველის ქველისა და მხნე თავად-აზნაურობისა». შემდეგ მიირთვეს სადღეგრძელო მემკვიდრე ცესარევიჩისა და დილის მთავრებისა—ბიორგი ალექსანდრეს ძისა და მიხეილ ნიკოლოზის ძისა.

საუზმის დროს უკრავდა თერგის ყაზახის ჯარისა და ძაგასიის მსროლელთა დრუჟინის მემუსიკეთა

დასები და სახანდრები. ბ-ნის აღნაშენილის ხოროს მგალობლები, ჩინებულიად მორთულები, გაბედნიერდნ და მიიტყვის მათ უდიდებულესობათა ყურადღება. სხვათა შორის აღნაშენილის ხორომ იმღერა: «მიყვარს ფაცხა მეკრული», «თამარას დროშა გაშალეს» და «მალლა ცაზე მშვიდი დარია». აგრეთვე მათ უდიდებულესობათა ყურადღება დაიმსახურა ოპილის-ში კარგად ცნობილმა მომღერალმა აბდულ-ბალიმ.

საუზმის გათავების დროს საქართველოს თავად-აზნაურობამ მიართვა მათ უდიდებულესობათ ვერცხლის მოსვენადებული რამდენიმე სურა, კულა და ახარ-ფეშა, რომელთაც ეწერა: ოპილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან, საბადური, 7 ოქტომბერს 1888 წ.

საუზმე დასრულდა ორს საათსა და თუთხმეტს წუთზე და მათნი უდიდებულესობანი წაბრძანდნ ავტალას.

მღვდლის სამსახურისადმი მოწოდებაჲ. *)

თვით იესო ქრისტემ, მართალია, აღიზნა გაუნათლებელი. ნი პირნი თავის მოციქულებად, მაგრამ შემდეგ თვითონ იგივე ამხადებდა მათ თითქმის სამი წლის განმავლობაში მათი მომავალი სამსახურისათვის; იესო თავის თავს უწოდებს მათ მასწავლებლად (მათ. 23, 10), ხოლო მათ თავის მოწაფეებად; მოციქულნი უწოდებდნ ქრისტეს მასწავლებელს. იესო ქრისტე ასწავლიდა მოწაფეებს ღვთის ნეტარების ჭეშმარიტებათ: თქვენდა მოცემულ ახს ცნობად საიდუმლო იგი სასუფეველისა ღვთისა (მატ. 4, 11). და თავის მედრებით აღდგომის შემდეგ, ორმოცი დღის განმავლობაში, ეცხადებოდა მოწაფეებს და ეტეოდა სასუფეველისათვის ღვთისა (საქმე მოც. 1, 3) და ბოლოს უბრძანა მათ დარჩენილიყვნენ იერუსალიმში, სანამ მათზე არ გადმოვიდოდა სული წმიდა და არ მოემზადებოდნ თავიანთი მალელი და ძნელი სამსახურისათვის (საქმე მოც. 1, 4—5). მოციქულებიც, რომელნიც

მტკიცედ იცავდნ და აღსრულებდნ თავიანთი ღვთაებრივი მასწავლებლის სწავლა-მოძღვრებას, დიდის ხნობით ამხადებდნ ხოლმე იმ პირთ, რომელთაც ირჩევდნ მღვდელობის სამსახურისათვის. — ამას მოწმობს წმ. მოციქული პავლე თავის სიტყვებით, რომელთაც ეუბნება გამოთხოვების დროს ეფესელ მღვდლებს: «ამეთუ სამსა წელსა დამით და დღით ახა დაგსტრებოდა ცრემლით სწავლასა კაცად-კაცადისა თქვენისასა (საქმე მოც. 20, 31). თიმოთეს იმიტომ დავახე ხელნი, რადგან მან სიყრმიდგანე იტოდა საღმრთო წერილი. ამასთანავე იგი უბრძანებს თიმოთეს, რომ მან შემდეგ ცხოვრებშიც განაგრძოს იგივე (2 ტ. 3, 14—15). — ამავნა ტიტეს და თიმოთეს წმ. პავლე მოციქული სწავრს წერილით, თუ რა ღირსებით უნდა იქმნეს აღჭურვილი მღვდელი: მქადაგებელ საწმუნოებისა ღვთისა, შემძლებელ იყოს ნუგეშის ცემადცა მოძღვრებასა მას შინა სიგოცხდისასა და სიტყვას მგებელთა მათ მამხილებელ (ტიტ. 1, 9). ამის დაგვარად იტყვოდნ სხვა მოციქულებიც, რასაც ამტკიცებს მოციქულთა დადგენილობანი; ამ დადგენილობათა ძალით, მღვდელი უნდა იქმნეს სწავლის მეტონე და თუ განათლებული არ იქნება, მაშინ უნდა შეეძლოს მაინც ქრისტეს სწავლის ქადაგება.

პირველი საუკუნის წმ. მამებს ძალიან საჭიროდ მიჩნდათ მღვდელობის მოსურნე პირთათვის გონებითი და სულიერი ზნეობითი განათლება. იგინი სასტიკად ითხოვდნ, რომ მღვდელობის მოსურნე პირი თავდაპირველად ჯეროვანად მომზადებულიყო. ბრიგორი ღვთის-მეტყველი თავის ერთ სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა წმ. მასილი დიდის დასაფლავების დროს, ამბობს: «ქვეყანაზე არ მოინახება ისეთი ეკიმი, რომელმაც პირველად არ გამოიკვლიოს ავად მყოფობის მიზეზი, არ მოიპოვება ისეთი მხატვარი, რომელმაც ჯერ რიგიანად არ შეაზავოს სხვადასხვა საღებავი და მერე არ შეუდგეს ღებვას. მკლესიის წინამძღვარს კი უფრო ადვილად ნახულობენ ხოლმე; ხშირად ისეთ პირს ირჩევენ მღვდლად, რომელსაც სრულებით არ უზრუნვია და არ მომზადებულან მღვდელობისათვის. მართლეს ხელს ვასხამთ კაცს და უბრძანებთ, რომ ბრძენ იყოს, როდესაც მას არასტყრი არ უსწავლია. მეორე სიტყვაში იგივე წმ. მამა განმარტებს, რომ მღვდლისათვის საკმაო არ

*) იხ. „მწყემსი“ № 18 1888 წ.



არის ერთი მხოლოდ კეთილი ცხოვრება; კეთილ-
ცხოვრებასთან უსათუოდ საჭიროა განათლება: «მე-
ძლება ვინმე უბიწო ცხოვრებისა და დიდი ქველ-
მოქმედი იყოს, მაგრამ კიდევ ვერ წარმომიდგენია,
თუ ასეთი პირნი რისი იმედით იღებენ თავის თავზე
მღვდლობას. მართვა კაცისა, რომელიც ყოველ-
სუფილგმულთა შორის უბრძნესი და უჭკუიანესია,
ჩემის აზრით, მეტად დიდი ხელოვნებაა, ამაში ყვე-
ლანი დამერწმუნებიან, თუ სულის ექიმობას შეადა-
რებენ სხეულის ექიმობას.

ასე ფიქრობდნენ ეკლესიის სხვა წმ. მამებიც.
ამის მაგალითს წარმოგვიდგენს წმ. ამბროსი მილან-
ნელი და ზრიგორი რომის პაპი. ამი-
სათვის ქრისტიანობის დასაწყისშივე ეპისკოპოსები
აგროვებდნენ ხოლმე თავის გარეშემო ეკლესიის კრე-
ბულთ დასწავლიდნენ მათ როგორც თავათ, ისე გა-
მოცდილი მღვდლების შემწეობით და ამზადებდნენ
მათ მღვდლობის სამსახურისათვის. როდესაც მეოთ-
ხე საუკუნეში ეკლესიამ მოიხვეწა მრავალ-დევნათა-
გან, მაშინ ეპისკოპოსების კრებულთა რიცხვი ყველ-
გან გამრავლდა; ეს კრებულნი მღვდლობის სამსა-
ხურისათვის მოსამზადებელი სკოლების მაგიერობას
აღსრულებდნენ; კრებულის წევრთა შორის ხშირად
შედიოდნენ სასწავლებლად ისეთი პირნიც, რომელთაც
გათავებული ჰქონდათ უმაღლესი საერო სკოლები.
მაგალითად მელეტი ანტიოხელის კრებულთა შორის
ერთსა და იმავე დროს იმყოფებოდნენ: იოანე ოქ-
როპირი, რომელიც შემდეგში გახდა კონსტანტინეპო-
ლის არქიეპისკოპოსი, მასილი, ეპისკოპოსი რაფალი
სირიისა, მთოდორე, შემდეგ ეპისკოპოსი მოპსუტე-
სა და სხვანი. ძველა ამ პირთ ჰქონდათ გათავებული
უმაღლესი საერო სკოლები. ამ პირების სასწავლებ-
ლად და მათი სულიერ-ზნეობითი მოსამზადებლად
განგებ დანიშნული იყვნენ მღვდლები. მთოდორე და
შლაფიანე, პირველი შემდეგში შეიქმნა ძირსკის ეპის-
კოპოსი, ხოლო მეორე დანიშნულ იქმნა მელეტის
მოადგილედ.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ამას წინაშე მისმა უდიდესუფრობამ სპარსეთის
შახმა უბოძა მის უწმიდესობას სრულად სომეხთა
პატრიარქ ქათალიკოზს მაკარის უმაღლესი ორდენი—
თავისი სურათი, მორთული და მოჭკდილი ბრლიან-
ტუბით. ამ ორდენთან ერთად შახმა გაუგზავნა კა-
თალიკოზს თეიმანიცა, რომელიც დაბეჭდილია სომ.
ხუჩს გვ. «აშმაგანკა»-ში. აი რასა სწყეპს ამ თეიმ-
ანიში შახი მაკარის:

«ქექეიდრეო იესოს სათნოებათა, სწორად
მოაგზავნე გლოზთა, ყოვლად უსამღვდელოესო მა-
კარი, უმაღლესო მთავარო წმ. ეპიმანიასო, მწვე-
სო და სელ-მძვანელა ყველა სომეხთა ქვეყნისათა,
გვედრებით უფალსა ქსუფევედთ საუგუნოდ მივარჯე-
ლობას ქვეშე უზენაისათა.

ნიშნად ჩვენის მეფეურის წყალობისა და მადლო-
ბისა უწმიდესობისა მიმართ თქვენისა, აღსაგესა სურ-
ვალთა მადლითა სიკეთისა და წაბრტყებისათვის
თქვენდა მონღობილ სომეხთა სამწესოისა. კეთილ
ვინებეთ გამორჩევაი თქვენი სამართლიანად და აღმა-
გიზნეთ განსაკუთრებული წყალობა და სათნოება
ჩვენი.

ამისათვის გვიბოძებია თქვენთვის ბრალდებულთა
მოჭკდილი სურათიცა ჩვენი, ეს უმაღლესი ნიშანი
გამორჩევისათვის სასელმწიფოს დიდებულთა და წარ-
ხინებულთა გვიბოძებია სელათა ყოვლად სამღვდელო
გრიგოლისათ, რომელიც მწესის სპარსეთისა და
ინდოეთის სომეხთა და განთქმულია თავისა სათნო-
ცხოვრებით.

ესე ნიშანი გამორჩევისა იყოცა საბუთად ჩვენის
უუადღებობისა და გულთადას თანაგრძნობისა თქვენდა
უწმიდესობისა მიმართ. განგიძაგლოცა მან მხნეო-
ბა სამქმისოთა მოღვაწეობასა შინა თქვენსა.

ნუ უგულებელს გვეყოფთ ჩვენს დოცვასა შინა
თქვენსა; ხოლო ჩვენ გვედრებოდით და წცა გე-
ვედრებით უფალსა ქსუფევედს უწმიდესობაი თქვენი
შეწევნითა ღვთისათა სომეხთ ეკლესიის მწვემს-მო-
კადა და სელ-მძვანელად. შეკახი, 1305 წ. (ივნისი,
1888 წ.). («ივერია»).

წმიდანი მოწამენი ღვით და ქონსტანტინე და მოწამეთის მოწამებრი იმერეთში.

საქართველოს ისტორია წარმოგვიდგენს ერთ გამოუთქმელ ტანჯვა-წვალებას, რომელიც საქართველოს ერმა გამოსცადა მრავალ საუკუნოების განმავლობაში, თავის მართლ-მადიდებელი სარწმუნოებისა, თავისი ძვირფასი სამშობლოსა და თავის ხალხისათვის. საქართველოს გარემო. მცხოვრები ხალხი ყოველივე ღონისძიებით ცდილობდა ხელში ჩაეგდო ეს მშვენიერი კუთხე ჯერ კიდევ გაქრისტიანებამდე. მას შემდეგ, რაც საქართველოში გაფრცელდა ქრისტიანობა, მას მოსვენება არ ჰქონდა მგზობელ ურწმუნო ხალხთაგან. მზად ერთი ნატურა სპარსელთა და მოსლემანთა ის იყო, რომ საქართველოში ძირიანად აღმოეფხვრათ ქრისტეს სარწმუნოება და ქართველი ერი გაემაჰმადიანებიათ. აი სწორეთ აქედამ იწყება საქართველოს ერის აუარებელი სისხლის ღვრა. ქართველები თავ-გამეტებით ებრძოდნენ მოსლემანებს. ამ ბრძოლის დროს ნიადაგ მრავლდებოდა ჩვენში მოწამეების რიცხვი, რომელთა რიცხვს სხვა ქრისტიან ხალხთა მოწამეების რიცხვი ვერ შეედრება. მაგრამ ვერც საშიშარმა და სასტიკმა წამებამ, ვერც ურწმუნო მწვალებელთა ცბიერობამ და ვერც ქვეყნიური ღიღების აღთქმამ და დაპირებამ ვერ ააღებია ქართველს ერს ხელი ქრისტეს სარწმუნოებაზე. როცა ერთი ურწმუნო ხალხის შემოსევის შემდეგ საქართველოს ერი ცოტათი მოღონიერდებოდა და მოისვენებდა, მერე სხვა ურწმუნო ხალხი შემოესევოდა და ააოხრებდა საქართველოს, აქცევდა ხალხის ნაღვალს და ნაშრომს. ამ სახით საქართველოს ერმა მრავალი საუკუნოების განმავლობაში მრავალი აოხრება და დაქცევა გამოსცადა მტერთაგან.

სწორეთ ამისთანა უბედური დრო იყო საქართველოსათვის მერვე საუკუნე, როდესაც სცხოვრებდნენ წმ. მოწამენი ღვით და ქონსტანტინე.

მაღომეტმა თავიანთ მოწამუნეთა შემწეობით ააოხრა მრავალი მხარენი. შველა ადგილები ხმელთა შუა ზღვიდგან ინდოეთამდის და ბაკტრიამდის, ინდოეთის ზღვიდგან სომხეთამდის ჩაუარდათ მათ ხელში. 731 წელში შემოვიდა საქართველოში დიდი ჯარით უკანასკნელი არაბეთის ხალიფი მუჰრან ყრუ, ანუ მურვან მეორე, ჩამაველობით მომავიდი.

მურვან შრუმ ააოხრა ეკლესიები აღმოსავლეთ საქართველოში და გასწყვიტა მრავალნი ქრისტიანები; შემდგომ მურვანი წამოვიდა დასავლეთ საქართველოში იმერეთში. არცერთი მტრების თავდაცმა იმერეთისათვის არ ყოფილა ასეთი ამაოხრებელი ყოვლის მხრით, როგორც ეს მურვანის იმერეთში შემოსევა იყო. პირველად მურვან ყრუ თავს დევსა არგვეთის თავადებს ღვით და ქონსტანტინეს. წმიდანი მოწამენი ღვით და ქონსტანტინე იყვნენ ქართველნი, იმერლები, ერთხორცნი ძმანი. იგინი იყვნენ შეილები მდიდარი და კეთილი მშობლებისა. არის ერთი ზებირ-მოთხრობა, რომელიც მოგვითხრობს, რომ ისინი გვარათ თავადი მხეიძეები იყვნენ. ღვით და ქონსტანტინე იყვნენ არგვეთის თავადები; სოფელი არგვეთა მაშინ შეადგენდა ცალკე სამეფოს. ეს მოწამენი სცხოვრებდნენ მერვე საუკუნის დასაწყისში ქრისტეს შემდეგ. მათ კარგად იცოდნენ საღმრთო წერილი და მასთან მეტად ღვთის მოშიშნი და მავედრებელნი იყვნენ; ისინი იყვნენ მშვენიერნი სახისანი, მოსულნი, ღონიერნი და გამბედავნი. თავის სიცოცხლეში უცოლოები იყვნენ და მცოდინობდნენ თავის ქვეშევრდომთა კეთილ-დღეობაზე. ამიტომაც ისინი ყველას ძლიან უყვარდა არა მარტო როგორც უმფროსნი, სამოქალაქო მმართველნი, არამედ როგორც კეთილნი მასწავლებელნი. შოველ მტერთან ბრძოლაში მათი სახელი ამხნეებდა ყველას და მასთან მათი წმიდა ცხოვრება იყო ყველასათვის საჩუკე.

ღვით და ქონსტანტინემ შეჰკრიბეს ჯარი და ღვთის იმედით გაბედულად მურვანის ჯარს, შეხვდნენ დაამარცხეს ის. ამ დამარცხებამ მეტად გააბრაზა მურვანი და მიტომ მან შეჰკრიბა მთელი თავის ძალა და გადასწყვიტა ძლიერებით ნაქები თავადების დაჭერა და ტყვედ წაყვანა. მართლაც აღუსრულდა მურვანს გულის წადილი. თავადები დაატყვევეს და შეკრულნი ჩამოწყანეს ქ. მუთაისში და წარუდგინეს მურვანს.

ამ სახით ბედმა უმტყუნა კეთილ-მსახურთ თავადებს, მაგრამ მათ არ შესცვალეს სარწმუნოება ქვეყნარტისა ღვთისა. ისინი წმიდა ფსალმუნების სიტყვებით ამხნეებდნენ ერთმანეთს და ურჩევდნენ აეტანათ მათ ყოველივე წვალება. — «მინა ხართ თქვენ, რომელთა გაბედეთ იარაღის ხმარება ჩემს წინააღმდეგ, გაბრაზებულმა ჰკითხა მათ. — ბანა თქვენ არ იცით, რომ მე ვარ ძმისწული დიდი წინასწარმეტყველის მავ-

გომეტისა, რომელსა თაყვანსა სცემენ მთელი არაბეთი და სპარსი და რომ ჩემი ძალით დაპყრობილია მთელი დედა-მიწა აღმოსავლეთიდგან დასავლეთამდე?» — «ჩვენ ქრისტიანები ვართ, თავმდაბლად მიუგეს მათ; — ხოლო მაგომეტი, რომელსაც შენ ასე აღიღებ,

იყო მატყუარა და ხალხის აღმაოხრებელი, და ყველა, ვინც კი იწამა ის, მოსტყუედა; ნუ ხტუუდები შენ თვითონ და ნუ დიდობ შენი ძალით. უვალი და ღმერთი ჩვენი იესო მრისტე, რომელიც ჩვენ გვრწამს, შენზე უძლიერესია; მან დაგესაჯა ჩვენ ჩვენი ცა-ს.



მოწამეთის მონასტერი.

ვებისათვის. მაგრამ სულ არ დაგვიტევენ; დაგვჯის შენც და შენს შთამამავლობასაც».

როცა ეს სიტყვები გაიგონა თავადებისაგან მურვანმა, მოუწოდა იესო მრისტეს სარწმუნოების აღმსარებელთ და უნდოდა შეეცდინა ისინი მიფერებით და ტყბილი სიტყვებით: «გამიგონეთ მე, უთხრა მათ მურვანმა; მე თქვენ კაი რჩევას მოგცემთ: მიიღეთ დიდი წინასწარმეტყველის მალაქეთის სარწმუნოება

და თქვენ შეიქნებით ქვეყანაზე უბედნიერესნი. — შენ, დავით, უთხრა მას მურვანმა, როგორც უფროსი, იქნები ჩემს შემდეგ მეორე პირი სამეფოში; შენ კი, უმცროსო ქონსტანტინე, იქნები რიცხისა შინა სხვათა ჩემთა წარჩინებულთა პირთა». — «არა, მიუგეს მოწამეთა, ჩვენ არ გვინდა დავარდეთ აღთქმა, რომელიც მივეცათ ღმერთის ნათლის-ღების დროს. რაც გინდოდეს, ის გვაქენი, მაგრამ არ იფიქრო, რომ

ჩვენ ჩვენი ჭეშმარიტი სარწმუნოება დავატოვოთ. ამ
სიტყვებმა მეტად გააჯაღრეს მურვანი, რომელიც მე-
აჩუხებინა ძმების ამისთანა გაბედულებამ. გაბრაზებულ-

მა მურვანმა მოსცა ისინი მეტად სასტიკ წვალებას და
მერე ჩააყრევინა ისინი საპყრობილეში. ათ დღეს იყე-
ნენ საპყრობილეში მხნე-მეომარნი უფლისა იესო

სწმ



წმ. გოწამენი დავით და კონსტანტინე.

მარსტეხი, მათ ამ ათ დღეში არცსაჰმელი ჰქონებიათ
და არც ხასმელი; მხოლოდ ლოცულობდნენ ღმერთსა
და მასზედ ჰქონდათ იმედი; ამ ათ დღეში მრავალ

ნაირათ აწვალებდნენ მათ. ბოლოს კიდევ გამოსცადა
ისინი მურვანმა და ამიტომ მიუჩინა მათ ეშმაკი და
გამოცლილი თაფისი მალეები და პერსიელი მოგვები,

რომლებიც ყოველივე საშუალებას ხმარობდნენ, რომ როგორმე შეეცდინათ თავადები და მიეღებინებინათ მათთვის მაჰმადის სარწმუნოება. მაგრამ მოწამენი ისევე მტკიცედ იყვნენ სარწმუნოებაზე, როგორც თავ-და-პირველათ. ბოლოს მოაშინებდნენ გამო-სულმა მოწამეებმა გადაწყვეტით უპასუხეს გამოგზავნილებს: «უთხარით თქვენს გამოგზავნებს, რომ ჩვენ მზათა ვართ მოკლდეთ, ვინც უარ ეყოთ ქრისტე და ეიწამოთ წინასწარმეტყველად მაგომეტი.»

როცა მოღვინი და მოგვები ეერას გახდნენ, მო-ბრუნდნენ და მოახსენეს მურვანს: «ჩვენ ყოველივე ღონისძიება ვიხმარეთ, რომ შეგვეკონებია მათთვის, რათა მათ მიეღოთ მაჰმადის სარწმუნოება, მაგრამ ისინი ისევე შეტყუველნი დარჩნენ და, ვკონებთ, არა-ფრით იმათი მოქცევა არ შეიძლება: საპრობილეში დამწყვდევეს ვერ უმოქმედნია იმათზე.» ზაიგონა თუ არა ეს მწვალებელმა, ბრძანა, რათა შეასრულონ მათზე სასტიკი დასჯა: «ჯერ ორივე ძმები, ბრძანა მურვანმა, ჩამოჰკიდეთ თავ-დაღმა და ისე სცემეთ და შერმე შეაბით მათ კისრებზე მძიმე ქეები და ჩა-ჰყარეთ კლდიდან რიონში. მოწამეებმა სთხოვეს მურვანს, რომ მას მიეცა მათთვის დრო ლოცვის-თვის; მაშინვე მათ აღიპყრეს თვალნი ცისკენ და აღმოსთქვეს: უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთი-საო, რომელმაც ღირს გვყავ ჩვენ წამებისა! გვედ-რებით შენ: დაიცვე ჩვენი სხეულნი შთამომავლობისა სასოვრად, მთლად და უხრწნელად, როგორც ჩვენი ვინახავდით მათ შენის მადლით სიწმიდით და მიეც მათ ძალა განკურნებისა და ცოდვითა მიტვე-რისა ყოველთა, რომელნიც თაყვანსა გცემდნენ. «ჰი, უფალო იესო! შენს ხელში ვუტყვევებ ჩვენს სულსა. ამინ.» — ბათავეს თუ არა მათ ლოცვა, მაშინვე შტრებმა გადაჰყარეს მოწამენი მდინარე რიონში. ეს მოხდა ორს ოკტომბერს, 740 წელსა. ისინი ჩაადგეს მდინარე რიონში იმ ადგილის ცოტა ქვემოთ, სადაც უწინ ყოფილა ძველ ქ. მუთაისში, მთაზე აშენებული წმიდა ძოსმისა და ღამიანის ეკლესია.

მაგრამ უფალმა ღმერთმა, რომელიც აღიდგეს მადიდებელთა მისთა და რომელიც მკრობელია მი-წისა და წყლისა, დააგვირგინა ესეთი წვალება წმიდათა მოწამეთა მრავლითა სასწაულებითა. — რა წამს წმიდანი მოწამენი გადაუშვეს მდინარე რიონში,

ცაში შეიქმნა ქუხილი, რომელმაც ისე შეაშინა მწვალებელი არაბნი, რომ სწრაფად გაიფანტ-გამოიფანტნენ სხვა-და-სხვა ადგილას; მაგრამ ძლი-ერი ხელი უშლისა ყველგან სდევნიდა მათ: ძრი-ელმა წვიმამ, სეტყვამ და დიდმა წყალდიდობამ გა-სწყვიტა მრავალი რიცხვი მურვანის ჯარებისა, რომელნიც დაბინავებულნი იყვნენ ცხენის წყლის, აბაშის და შავი ზღვის ნაპირებზე.

მოწამეების გვამნი არ ჩაუძარავს წყალს, თუმცა იმათ დიდი ქეები ეყიდათ კისრებზე, არამედ მალლა დაცურავდნენ და განთავისუფლებულ იყვნენ ყოვე-ლივე საკრწელისაგან. ღამით იმ ადგილს, სადაც იყვნენ გვამნი წმიდათა მოწამეთა, ცეცხლის სიგეტი აღგა, რომელიც ანათებდა არა ჩვეულებრივად და მასთან ისმოდა ხმა, რომელიც უბრძანებდა ყოველთა ქრისტიანეთა, რათა აიღონ მათ გვამნი მოწამეთა და წაიღონ აღმოსავლეთის მხრით, იმ ადგილს, სადაც ეხლა განისვენებენ გვამნი ამა წმიდათა. ამ დროს მოწამეების პატიოსანი სხეულნი გამოტანილ იქმნენ მდინარის ნაპირზე. არა ჩვეულებრივმა სინათლემ და ზეციურმა ხმამ მოიყვანეს მდინარის ნაპირზე ზოგიერთი მეომარი მოწამეების ჯარისაგან; იმათ წაასვენეს პა-ტიოსანი გვამნი მოწამეთა ნაჩვენებს ადგილზე და ჩაასვენეს ძველს სასაფლაო აკლდამაში, რომელზედაც იყო ნახევრობით დამგვრელი ხარების ეკლესია. სამასი წელიწადი ესვენენ აქ წმიდათა ნაწილები და ყოველთვის მათგან ღებულობდნენ მათი მავედრე-ბელნი სასწაულებრივ კურნებას; ბოლოს, მეთერ-თმეტე საუკუნის პირველ ნახევარში (1040 წელსა) წმიდა მოწამენი გამოცხადნენ ძილში ბაგრატ მეფეს და უბრძანეს, რომ მას ამოეღო მათი წმიდა ნა-წილნი და გადაესვენებინა ეკლესიაში. ამიტომ მეფე ბაგრატმა განაზხლა ეკლესია, რომელიც ამ სასა-ფლაოზე იდგა და შემდეგ მასში გადაასვენა წმიდათა მოწამეთა ნაწილნი, რომ უფრო ცხადათ შესძლებო-დათ მორწმუნეთამისი თაყვანის ცემა. ამ დიდი წვა-ლებისათვის, რომელსაც თან მოჰყვა ამოსთანა დიდი დიდება, წმიდანი მოწამენი იწოდებიან დიდ მოწა-მეებათ.

მ. მუთაისიდან აღმოსავლეთით ექვს ვერსზე, ღრმა ხეობაში, ძველად მისაფალ კლდეზე, რომელიც სამი მხრით შემოზღუდულია მდინარე წყალ-წითე-

ლათი, არის მოწამეთის მონასტერი;—ეს მონასტერი თავის სიძველით და წმიდანებით მეტად შესანიშნავია არამც თუ მთელ იმერეთში, არამედ მთელ კავკასიაში.

ეს მონასტერი იყოფება ციკაბო, აღმართ დაღმართიან და სამკუთხიან მთაზე ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, კლდეზე, რომელიც სამი მხრით—აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთისკენ შემოზღუდულია მდინარეთი, რომელსაც ჰქვია წყალ-წითელა. ამ სამი მხრით მონასტერს კაცი ვერ მიუღდება. მდინარის ნაპირზე და კლდის ძირზე არის გაშენებული პატარა ბაღები. ახლო-მახლო არის სახნავ-სათესი ადგილები. მონასტრის გარშემო და შიგნით ხარობენ ხეები, და მათ რიცხვში არიან დაფნის ხეები. მაღლობზე, მონასტრის ეკლესიასთან არიან პატარა შემოღობილნი ბოსტნები. აქვე არის შეიღამდის პატარა ხის სახლები ღარიბულად აშენებულნი. ამ სახლებში სცხოვრობენ ბერები. არის აშენებული პატარა ხის სასტუმრო მომსახურებლისათვის. ეკლესიის სამრეკლო არის ახალ გეგმაზე აშენებული მშვენიერი თლილი ქვით; ეს სამრეკლო არის აშენებული 1845 წელში შოვლად უსამღვდელოების იმერეთის მიტროპოლიტის ღვთისმეტყველებისათვის. ცოტათი მაინც ამშვენებს ეს სამრეკლო მონასტრის ეზოს; აქვე არის ორი ქვის კოშკი, რომლებსაც კედლებში აქვსთ ვიწრო სანათურები; ეს სანათურები გვიან ციხეების ზარბაზნის სასრალ სანათურებს. მართი კოშკი არის აშენებული სამხრეთ-დასავლეთისკენ; ამაში გადის წვრილი გზა, ღალაგალაგ, ხის ფიცრებისაგან გაკეთებული; მეორე კოშკი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ არის. ამ კოშკში ინახებიან მონასტრის ზოგიერთი ნივთები.

მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი შენობა ამ მონასტერში არის თვით მონასტრის ეკლესია; ამას აქვს გუმბათი, აშენებულია უბრალო ქვითა. ეკლესია ისე მიახლოებულია ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის კლდეზე, რომ ეკლესიის გარშემო შემოვლა არ შეიძლებოდა წინეთ, მაგრამ მამა აკიმანდრიტის ბესარიონის შრომით და ღვაწლით ამოუშენდა აღმოსავლეთით კედელი და დღეს თავისუფლად უფლის კაცი ეკლესიას. ეკლესია შედგენილია და დახურულია თუნუქით. ის თუმცა დაბალია, მაგრამ იჭაურს შენობებს სჯობს. ეკლესიაში,

რომელიც სიძველის და სიღარიბის მეტს არას წარმოადგენს, შედის კაცი სამხრეთის და დასავლეთის კარებებიდან. აღმოსავლეთის მხრით სდგას ხის კუბო, რომელიც დამაგრებულია ერთი ადლის სიმაღლეზე ქვეთკირის იატაკიდან ორ ხისაგან გაკეთებულ ლომებზე. ამ კუბოში განისვენებენ უბრწვლნი ნაწილნი წმიდათა მოწამეთა. ეს უკანასკნელნი შეადგენენ ამ მონასტრის სიმდიდრეს, დიდ მშვენიერს და ძვირფას სამკაულს.

მონასტრის გარშემო არიან: ტყე, ციკაბოები და ხეივნები, რომლებიც აძლევენ სიმშვენიერს იმ ადგილს, რომელიც მონასტერს უკავია. მაგრამ რამდენათაც ეს ადგილი მშვენიერია, იმდენად საშიშარია. მონასტერი ისე მაღლობზე არის, რომ მონასტრიდან ძირს გადახედვა ძალიან ძნელია, განსაკუთრებით ქარიან დღეში. ბევრი მლოცველები და ისე მნახველებიც ბევრი დაიარებიან ამ უდაბნოში, მაგრამ მლოცველების და მნახველების რიცხვი უფრო ბევრია ორს ოკტომბერს, ამა მოწამეთა დღესასწაულობის დღეს.

ჩვენი მონასტრები საზოგადოდ და მათ რიცხვში მოწამეთის მონასტერიც მეტად ღარიბია. როდესაც შორე ქვეყნებიდან უცხოელები მოდიან და ნახულობენ ამ მონასტერს, ძლიერ უკვირსთ, თუ რატომ უნდა იყოს ესე უკიდურესად ღარიბი ამისთანა შეიანიშნავი თავის მოწამეებით მონასტერი. ესრეთი სიღარიბე ჩვენი მონასტრებისა მართლაც საკვირველია და გასაოცარი, თუ ჩვენ იმათ შევადარებთ რუსეთის მონასტრებთან, რომლების აუარებელს სიმდიდრეს არა ნაკლებ განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. მაგრამ თუ ჩავაკვირდებით საქმეს, არაფერი გასაკვირველი აქ არ არის. საქმე იმაშია, რომ რუსის ხალხი მეტად უხვია და ხელ-გაშლილი ეკლესიების და მონასტრისათვის შეწირულობის საქმეში, როდესაც ქართველ კაცს დღეს ასში ორს ერთს კანკის ვერ გამოამეტებიებთ ამ გვარი საქმისათვის. ბარდა ამისა რუსეთის მონასტრები მეტად მდიდარნი არიან მამულებით და სხვა-და-სხვა წყაროებით, საიდანაც მათი შემოსავალი ყოველ წლობით უტყუარია და მუდმივი.

